



**საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭოს გადაწყვეტილება  
ქ. თბილისი**



MES 6 22 0000137583



11/02/2022

**შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო  
საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული  
ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის და კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ**

**1. გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები**

1.1 „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 272 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო (შემდგომში - საბჭო) აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, დაწესებულების მიერ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის შესწავლისა და ზეპირი მოსმენის გამართვის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის თაობაზე. აკრედიტაციის დებულების 275 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, საბჭო ვალდებულია დაასაბუთოს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

1.2 აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმება ხორციელდება გეგმიური და/ან არაგეგმიური მონიტორინგის გზით.

1.3 აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, არაგეგმიური მონიტორინგი ხორციელდება საბჭოს შუამდგომლობით, ცენტრში საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესრულებასთან დაკავშირებით წარდგენილი საჩივრის საფუძველზე და/ან ცენტრის ინიციატივით.

1.4 აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის თანახმად, დარღვევის გამოვლენის შემთხვევაში, საბჭო უფლებამოსილია, ადმინისტრაციული წარმოების დარჩენილი ვადების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო დაწესებულებას ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვროს არაუმეტეს 60 დღის ვადა, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აშკარაა, რომ ამას შედეგი არ მოჰყვება.

1.5 აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში თუ, აკრედიტაციის პირობების შესრულების შემოწმების შედეგად დადგინდება, რომ დაწესებულების მიერ ყველა რეკომენდაცია შესრულებულია, საბჭო იღებს გადაწყვეტილებას მონიტორინგთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

**2. აღწერილობითი ნაწილი და დასაბუთება**

2.1. შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2017 წლის 23 ივნისის №32 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

2.2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის განაცხადის (წერილი №100/01, ცენტრში რეგისტრაციის №222829) საფუძველზე, ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება. აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოება შეეხებოდა შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენას.

2.3. „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არააგემიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2021 წლის 24 მაისის №481489 ბრძანების შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობა.

2.4. 2021 წლის 30 ივლისს აღნიშნული საკითხი განიხილა საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭომ და გადაწყვიტა აკრედიტაციის დებულების 31-ე მუხლის 22-ე პუნქტის საფუძველზე შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტს „ფარმაციის“ საბაკალავრო პროგრამასთან მიმართებით 60 კალენდარული დღის ვადაში შეესრულებინა №791317 ოქმში მოცემული რეკომენდაციები.

2.5. 60 კალენდარული დღის ვადაში შესასრულებელი რეკომენდაციების შესახებ ანგარიში დაწესებულებამ წარმოადგინა 2021 წლის 05 ოქტომბრის № 1035729 წერილით, რომელიც შეაფასა „აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არააგემიური მონიტორინგის განხორციელების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2021 წლის 1 ნოემბრის №1169344 ბრძანების შესაბამისად, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა. ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილი დასკვნის მიხედვით საგანმანათლებლო პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა		√		
		√		

2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა				
3.სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა				
4.სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა				
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები				

2.6. საბჭომ შეისწავლა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

2.7. ზეპირი მოსმენა გაიმართა 2022 წლის 28 იანვარს. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ, 2.2 და 2.6 კომპონენტებში ასახული რეკომენდაციები გადავიდა რჩევების ნაწილში, შედეგად ეს კომპონენტები შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, შესაბამისად, მე-2 სტანდარტი შეფასდა როგორც „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“. შესაბამისად, საბჭომ მიიჩნია, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“. აქედან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება მიზანშეწონილია, რომ შეწყდეს.

**3. სარეზოლუციო ნაწილი**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 272 მუხლის პირველი პუნქტის, 30-ე მუხლის მე-3 პუნქტის, 31-ე მუხლის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭომ, კენჭისყრის შედეგად, ჩვიდმეტი ხმით არცერთის წინააღმდეგ,

**გადაწყვიტა:**

1. შეწყდეს შპს თბილისის ჰუმანიტარული სასწავლო უნივერსიტეტის „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. მიჩნეულ იქნეს, რომ „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.
3. საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შემდეგი სახით შემდეგი სახით: ფარმაციის ბაკალავრი (დეტალური სფერო 0916 - ფარმაცია);
4. საგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცეს უფლება „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდეს დანართი №1-ით განსაზღვრული მონაცემების მიხედვით;
5. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა „ფარმაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2).
6. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2022 წლის 11 თებერვლის №135981 სხდომის ოქმის №03 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №3).

## **7. საგანმანათლებლო დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რეკომენდაცია და რჩევები**

### **რეკომენდაციები:**

1. რეკომენდირებული ცოდნა-გაცნობიერების კომპეტენციის ნაწილში სწავლის შედეგების გაწერა მოხდეს გაზომვადი ზმნებით.

### **რჩევები:**

1. სასურველია სასწავლო კურსი პრაქტიკა ფარმაციაში ფარმაცევტული ანალიზი სემესტრით მაინც უსწრებდეს საბაკალავრო ნაშრომს, რამდენადაც ის ლოგიკურად უნდა წარმოადგენდეს საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წინაპირობას.
2. პროგრამის ინტერნაციონალიზაციის მიზნით შესაძლებელია რიგი არჩევითი კურსების შეთავაზება ალტერნატივის სახით ქართულ კურსებთან ერთად უცხო ენაზე. გაგრძელდეს პროგრამის ინტერნაციონალიზაციაზე ზრუნვა.
3. სასურველია გაიზარდოს ფარმაციის დარგთან დაკავშირებული არჩევითი კურსები, მათ შორის „ფარმაცევტული ზრუნვა“. ვინაიდან ეს კურსი მოთხოვნადია წამყვანი ევროპული ფარმაცევტული სკოლების კურიკულუმებში.
4. აკადემიურმა პერსონალმა იზრუნოს სტუდენტების უფრო მეტად ჩართვაზე კვლევებში და შესაბამისად გაიზარდოს სტუდენტების თანაავტორობით გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომები.
5. სასურველია საბაკალავრო ნაშრომის შეფასების კომპონენტების ქულები გაიწეროს გრადაციებად 0-დან ზემოთ.
6. სასურველია რიგი სილაბუსების შეფასების ნაწილში გასწორდეს ჩანაწერი: დასკვნით გამოცდასა დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა“ და მოვიდეს შესაბამისობაში მე-3 ბრძანებასთან.

8. საბჭოს გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2022 წლის 28 იანვარს.


9. საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 241 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შესახვევი №2, ან თბილისის

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64, აღნიშნული გადაწყვეტილებისა და მისი დასაბუთებითი ნაწილების (დანართი №1, დანართი №2, დანართი №3) ცენტრის ვებ-გვერდზე ([www.eqe.ge](http://www.eqe.ge)) გამოქვეყნების დღიდან, ერთი თვის ვადაში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭო  
თავმჯდომარე  
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია



საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის  
საბჭო  
საბჭოს მდივანი  
შენგელია მარიამ



№	ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფარმაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	23.06.2017 გადაწყვეტილება №32
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფარმაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე - 6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფარმაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0916 - ფარმაცია
12	სწავლების ენა	ქართული
13	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	244
14	განხორციელების ადგილი	ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი №31, ყოფილი ჩოლოყაშვილის 53, თბილისი, საქართველო
15	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა - სწავლების უფლებამოსილება	-
16	გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი	2022 წლის 28 იანვარი
17	აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოსადგენად/მონიტორინგის განსახორციელებლად განსაზღვრული ვადა	-
18	აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი	2024 წლის 23 ივნისი